

საქართველო

პარტიულ სოციალისტ-ფედერალისტთა საკავშირული პარტიის ორგანო

წლიური ფასი 5 მანეთი.
თითო ნომერი — 25 კაპ.

რედაქციისა და ადმინისტრაციის ადრესი :
51, rue Saint-Sauveur, PARIS.

შ ი ნ ა ა რ ს ი

დახვევა თუ წინ სვლა? — პოლიტიკური მოღუშნადებლობა. ვისი ბრალია? — „დამფუძნებელი კრება“. — მუდმივ ჯარის გაუქმების საჭიროება. — ჩვენი ტაქტიკა. — მასალა პარტიულ პროგრამის შემუშავებისათვის. — ტერორისტული ქრონიკა.

დახვევა თუ წინ სვლა?

გურთაში მომხდარ ამბების მნიშვნელობის შემცირება ჩვენ არ გვინდა. გვსურს ადვანიმით მხოლოდ ის გარემოება, რომ ხალხმა სისრულით არ სთქვა, რაც გულში ედვა. შეუდარებელი დისციპლინა, ერთსულოვნება გამოიჩინა. მხოლოდ იგი ერთსულოვნება არ მოწმარებია დიდ აზრის დაგვას და განხორციელებას (1). ყოველივე, რაც დაასახელებს გურულეშმა, რასაკვირველია, მათ უსაჭიროებათ. ბატონყმობიდან დარჩენილი ნაშთები უნდა გაუქმდეს. ეჭვი არ არის. ხლოდ ძველ წესის ადვილზე თუ განმტკიცდა ბურჟუაზული ყვლეფა-გლეჯა, არა გვგონია, რომ გლეხის მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდეს.

ამ საგნის შესახებ ჩვენ სხვაგან უფრო ვრცლად მოვილაპარაკებთ, მხოლოდ, აქ უნდა ვსთქვათ, რომ არც საიჯარო ფასების გაწესრიგება, არც დროებით ვალდებულობის მოხპობა, არც გლეხებისათვის იმ მიწების დაბრუნება, რომელიც განთავისუფლების დროს წაართვეს, არც შემდგომავალზე დაწესებული გადასახადი, არც არა-პირდაპირ გადასახადების მოხპობა და სხვ. და სხვ. — არც ერთი აქ ჩამოთვლილი რეფორმა არ მოხპობს სოფელში ექსპლუატაციას, ერთის ადამიანის მეორისაგან დამოხრებას. ამ რეფორმების განხორციელებით ჩვენს სოფელში დამყარდება ბურჟუაზული წესი, კერძოდ საკუთრების ბატონობა, მესაკუთრეთა შორის ქიშპობა, პატარა საკუთრების დამარცხება, გლეხთა პროლეტარიზაციის დასაწყისი, მოჯამავირო მუშათა რიცხვის ზრდა, ერთის სიტყვით, აღმოჩნდება სოფელში კლასებრივ ბრძოლაზე დამყარებულ საზოგადოების ტიპიური თვისებები.

რასაკვირველია, ეს კლასებრივი გამწვავება ესლავს არსებობს. ხალხის აჯანყება ამისი თავადებია. რასაკვირველია, ხალხი დღეს ორნაირად არის შეპოქილი: ფეოდალურ დროიდან დარჩენილ ნაშთებით და ბურჟუაზულ წყობილების პირობებით. « ნაშთების » გაუქმების შემდეგ, ხალხი დაუპირდაპირდება

(1) სახეში ვგაქვს ეკონომიურ მოთხოვნათა აღიარება.

მხოლოდ ბურჟუაზულ წესს. მაგრამ ბურჟუაზულ წყობილების თავისუფალ განვითარებასთან ერთად მისი ძალმომრეობითი ძალა ერთი-ათად იზრდება და თუ ბატონყმურ ნაშთებიდან გადასვლა ბურჟუაზულ წესზე ისტორიულის და ტენიციურის მხრივ პროგრესია, ამგვარი პროგრესი არ ჩაითვლება მშრმელ ხალხის კეთილდღეობისა და კმაყოფილების მომასწავებლად.

ყოველივე ეს ხალხს, რომელსაც ეკონომიური მეცნიერება არ შეუსწავლია, ძლიერ კარგად ესმის. ამიტომაც არის, რომ ითხოვს მიწას, მთელ მიწას და არა « ჩამონატრებს ». ქართლ-კახეთსა, იმერეთ-გურთა-სამეგრელოში, და საქართველოვ ყველა კუთხეებში გლეხი ამ რწმენას ადგა. როცა შემთხვევა ხელში ეძლევა, ან სიღარიბისაგან მოთმინება ეკარგება, იგი მზად არის განხორციელოს კიდევაც თავისი მიწწრათება, მზად არის მიწა საზოგადო კუთვნილებად აღიაროს.

გურულ გლეხებსაც აქვთ იგივე მიწწრათება, მხოლოდ დღეს, საუბედუროდ, იგი მიწწრათება არ გამოამკარავებს და საქვეყნოდ გამოაცხადებს მხოლოდ ის, რაც რუსეთის სოციალ-დემოკრატის აგრარულ პროგრამაშია მოხსენებული, ხლოდ რის განხორციელებაც სოფელში არ სპობს სიღარიბეს, ძარგვა-გლეჯას, ექსპლუატაციას, მეგანხეობას და სხვა ამგვარ უბედურებას.

ამ ორის წლის წინად, როცა დაიწყო გურთაში არეულობა, წამოყენებული იყო მიწის სოციალისაციის საჭიროება, დღეს კი ამის შესახებ ხმა კრინტი არავის ამოუღია. ვისაც ედება ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა, ავიოლად გამოხსენდება.

ჩვენა ვსთქვით, რომ ჯერ კიდევ ამ ორის წლის წინად სოციალურ მოძრაობას ფრთად ვრცელი ფარგალი ჰქონდად. მაშინ გურულეში ბატონყმურ ნაშთების გაუქმებას არ სჯერდებოდნენ, არ სჯერდებოდნენ პატარ-პატარა გაუქმდებლების შემოღებას. საყურადღებოა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატთა მეორე კონგრესზე სწორედ გურულ მოძრაობას იმეწმებდნენ იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ სოციალისტურ პარტიას თავის აგრარულ პროგრამაში მარტო ბურჟუაზული ხასიათის რეფორმები და ტენდენციები არ უნდა ჰქონდეს წამოყენებული, მაგრამ, უმჯობესია ამ საგნის შესახებ თვით სოციალ-დემოკრატები ვალაპარაკოთ.

სხენებულ კონგრესის ოქმებში (გვ. 198) ვპოქლოდობთ კავკასიულ დელეგატის კოხტროვის საყურადღებო სიტყვას:

„... ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა აღმოვფხვრათ ბატონყმურ წყობილების ნაშთები... ამასვე ლაპარაკი არ მჭირდება. მაგრამ საქმე ის არის, რომ გლეხთა ცხოვრებამ წამოგვიყენა კითხვები; რომელინც მართლ ძველ წყობილებას ვი არა, ესაღსავსე შეგვხვდინან... თუ ვუთხარით მას (გლეხობას), რომ რევოლუციამ მხოლოდ ძველი ნაშთები უნდა აღმოვფხვრავდეთ, ეს ის იქნება, ვითომ არაფერი გვეთქვას. ისინი მეტს მოითხოვენ და რევოლუციის დროს მიიწახნა მღვკევივან ხელს (კურსივი ჩვენია)... აი ეს უნდა მივიღოთ მხედველობაში აგრარულ პროგრამის შედგენის დროს. ამხანაგი ლენინი. ფაზის დაბეჭდილ მოხსენებაში ამბობს: „ჩვენ დავმორღებდით პროლეტარიატის კლასებრივ შეხედულებას, თუ რომ ჩვენს პროგრამაში შემოვიტანდით, რომ გლეხობა ერთობ შორს წავა ბატონყმურ ნაშთების გაუქმებაზე“. მამ კარგი, მაგრამ პროგრამაში შეუტანლობა მისი ჯერ კიდევ არ ნაშინავს, რომ ცხოვრებაში არ არის ეს კითხვები აღძრული. მე ვამბობ: თუ მართლა გლეხობა უფრო შორს წავიდა, რა ვქნათ მამინ“!

იმავე ოქმებში (გვ. 213) იმავე კონტრვოზის უფრო გადაჭრილ სიტყვებს ვპოვებთ იმის შესახებ, თუ რა სასიათის არის კავკასიაში გლეხთა მოძრაობა. იგი ამბობს:

„... გორნება განაცხადა, რომ კავკასიაში პროლაზანდა გლეხობაში არის მიმართული მხოლოდ ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგედ. ეს მართალი არ არის. ვუძინ მე ვხატქვი, რომ ამ მოძრაობის სათავეში დგას უფრო დაწინაურებული ნაწილი ჩვენის ქვეყნისა. — ვურთა. აქ „ჩამონატრებზე“ ვი არ არის ლაპარაკი. ბატონყმობის წყობილების ნაშთები იქ ყველაზე მეტად არის გამჭრალი... მოძრაობას სათავეში თვით ჩვენი ამხანაგები უდგენენ და ქადაგებდნენ არამდე. თუ ბატონყმობის ხრულს აღმოვფხვრავთ, არამდე მიიწახნა ხდებიან საცდიალიზაციას (კურსივი ჩვენია). მე თვითონ ვიცი, რომ იყვ შემთხვევა, როცა სოფლის ყრილობაში ერთმა უბრალო გლეხთაგანმა იქადაგა მიწის საჯუთობის გაუქმების შესახებ და მის სოციალისტურად. ერთის სიტყვით, — დასძინს ბ. კონტრვოზი; — ჩვენში ბატონყმობის ძირიანად აღმოვფხვრის. პროლაზანდის გარდა სოციალისტების პროლაზანდაც არის“.

რა მოხდა ამის შემდეგ? როგორც თვით სოციალ-დემოკრატი იმოწმება, გურიაში გლეხობასაც ჰხურდა სოციალისტების, პროლაზანდისტებიც ამასვე უქადაგებდნენ. ხოლო სად არის ამისი ნაყოფი? ჩვენ წინააღმდეგს ვხედავთ, ჩვენ ვხედავთ სოციალ-დემოკრატიულ აგრარულ პროგრამის გამარჯვებას და სხვას არათურს. ხოლო ამ პროგრამაში მიწის სოციალისტების სხეულებაც არ არის. პროლაზანდისტებმაც, სოციალისტებმაც რომ ჰქადაგებდნენ, ამკარაა შეჰკვეცეს თავიანთი აზრები, პარტიულ პროგრამას დაუქვემდებარეს თავიანთი მოქმედება და მისწრაფება. გულსაგლავი შედეგი «ცენტრალიზმისა» თუ ვნებავთ აი სწორედ ეს არის!

მაგრამ სოციალ-დემოკრატების მოქმედება ჩვენ არ გვეხება. როგორც სურსთ ისე მოიქცნენ. ეს მათი საქმეა; ყოველივე, რაც მოვიყვანეთ მხოლოდ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ გვეჩვენებინა, რომ დღევანდელი გურთის მოძრაობა შედარებითაა, რომ ხალხის აზრი და მისწრაფება გაცილებით შორს მიდის იმასზე, თუ რაც აღიარეს მთავარმართებლის მოხელის წინაშე. ხალხში მოძინადებულია ნიადაგი მიწის სოციალისტების განხორციელებისათვის. დეკლარაციონ ს. - დემოკრატებმა «ჩამონატრების» დასაკუთრების ისტორიულ მნიშვნელობაზე. ჩვენ, ჩვენის მხრივ, არ მოვიდლებით იმ აზრის გამეორებაში, რომ მხოლოდ მიწის-გასაზოგადებრივება იხსნის გლეხს უთვალავ მტერთაგან და მხოლოდ ამგვარი რადიკალური რეფორმა განდება დასაწყისი სოციალურ სამართლიანობისა!

პოლიტიკური მოუხეალებლობა

ქართველ ლიბერალების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოხვლის შესახებ უკვე ვქტინდა სჯა-ბაასი. ჩვენა ვხატქვით, რომ ხალხმა საღათას ძილისაგან გამოფხვინდა ხაზოგადობის ლიბერალ-ბურჟუაზულ-თავად-აზნაურული ელემენტებიც. ამ ელემენტებმა ხმა აამადლებს: ამ მხრივ ეს მოვლენა პროგრესიულია. წინად ხელშია ხაზოგადობა, ესლა ლაპარაკობს, თავის მდთხვინილებას ასახელებს, ცვლილებას და გაუქმებებს თხოულობს. ყოველსავე ამას ვიმედობთ, ხაზოგადოდ პროგრესიული სახიათი აქვს. საქმე მხოლოდ ის არის, რას და როგორ ითხოვს ხაზოგადობა, საქმე თვით პოლიტიკურ, გეონომიურ და ნაციონალურ კითხვათა მართებულ დაყენებაშია.

ამ მხრივ ქართველი ლიბერალები ძლიერ სუსტებენ. გეონომიურ კითხვების განმარტებაში დავას არ დავუწყებთ. ლიბერალიზმს საკუთარი კონცეპცია აქვს და მისი მდთხვება სოციალისტის კონცეპციასთან შეუძლებელია. ამ ნიადაგზე ისინი კლასებრივი მდპირდაპირუნი არიან პროლეტარიატისა და მშრომელ გლეხობისა. ეს ბრძოლის ნიადაგია და აქ დრო არ უნდა დავხარჯდეთ თეორიულ კამათობაში.

მაგრამ არის ნიადაგი, სადაც ლიბერალები უფრო მკვიდრად გრძნობენ თავიანთ თავს. «პოლიტიკურ თავისუფლების» მოპოების საქმეში მათ შეუძლიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ, თეორიულ სასიათის წვლილი მაინც. და აქ ამ კითხვათა ფარგლებში მათ ის მანც მოეთხოვებათ, რომ ნუ დაღატობენ დემოკრატიულ პრინციპებს, ნუ ხლართავენ ყოვლელ კითხვის გადაწყვეტის საქმეს. აქ ამ საგნების გადაწყვეტაში მოეთხოვებათ პოლიტიკური მოძინადება და მოქმედება. კი მოეთხოვებათ, ხოლო ჩვენი ლიბერალები კი ამ მოძინადებას მოვლუბულნი არიან.

«წერილობითი მოხსენებაში», რომლის თაობაზე წინა ნომერში ვქტინდა საუბარი, ქართველი ლიბერალები აღიარებდნენ მთავარმართებლის თანამდებობის მოპოების საჭიროებას, მხოლოდ ამ მოხსენებაში არა სთქვეს-რა შინაურ მართვა-გამგებლობის მოწყობის შესახებ. ასლა სხვა დოკუმენტი გამოცხადდა. ეს დოკუმენტი — «რეზოლუცია ქართველ თავად-აზნაურთა, ლიტერატურთა და სხვა თავისუფალ ბრძელების პირთა კერძო კრებისა.» ამ რეზოლუციაში, სხვათა შორის, განმარტებულია ის, რაც «წერილობითი მოხსენებაში» გაურკვეველი რჩებოდა. სახეში გვაქვს ეროვნული კითხვა. ამ კითხვის გადაწყვეტაში ლიბერალები გამოცდილი და დახელფხვნილი პოლიტიკალები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ აქაც, რეზოლუციას რომ დააკვირდეთ, გაცეცხული რჩებით.

რეზოლუცია აღიარებს: «... ერთად-ერთი სამუალება ქვეყნის დასაწყნარებლად არის სახალხო წარმომადგენლობითი სისტემაზე დამყარებული ძირითადი რეფორმა რუსეთის სახელმწიფოებრივ წესწყობილებისა... დააკვირდით ამ ბუნდოვან ფორმულას. «სახალხო წარმომადგენლობითი სისტემა». კი, მაგრამ, რავარი სისტემა? არ არის ნაჩვენები, სურსთ თუ არა რეზოლუციის მთხვეულებს საყოველთაოდ თანახმად, პირდაპირ და ფარულ საარჩევნდ უფლების მოპოება. რეზოლუციაში არც პოლიტიკური ფორმა დასახელებული. წარმომადგენლობითი მმართველობა რესპუბლიკური უნდა იყოს, თუ კონსტიტუციონალურ მონარქიული, ფორმულიდამ არა

სხანს. რის მიღებება სწადიათ ლიბერალებს? რუს-
ლუცია ხდუმს ამ კითხვის შესახებ.

რაივ შეეხება ეროვნულ ცხოვრების დაცვას და
განვითარებას, რუსლუცია აღიარებს: « უზრუნველ-
ყოფა ქართველის ერისათვის საკმაოდ წარმომადგენ-
ლადნისა საიმპერიო საქმეებში და აგრეთვე იმ პი-
რობათა უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს
საქართველს თავისუფალ ნაციონალურ განვითარე-
ბას ». ამ ადგილიდან ვტყობდებით, რომ ქართველ
ლიბერალებს რესპუბლიკის დამყარება არ სწადიათ.
მათ სურთ იქნინონ საკმაოდ წარმომადგენლები
სა ი მ პ ე რ ი ო პ არ ლ ა მ ე ნ ტ შ ი მ . ხოლო რა არის ეს უმ-
სგზავნი სიტყვა — « საკმაოდ წარმომადგენლები » ?
რაც გინდ გაიტყობთ, რუსეთის პარლამენტში 600
დეპუტატსე მუტი არ იქნება. ასე რომ საქართვე-
ლოდამ თავად-აზნაურთა ორ მარშალს და საქალაქე
თვითმართველობის ორ თავს რომ მიხეცენ ადგილი,
წმ. ნიკოლოზს აბასიანი კვლახტარი უნდა დაუნთონ.
რაივ შეეხება ხალხის წარმომადგენელთ, მათ იმპე-
რიის პარლამენტში ადგილი აღარ დარჩებათ. ცენ-
ტრალისტურ პარლამენტის უვარგისობა სწორედ
იმაში გამოდისატება, რომ იგი ვიწრო კლასებრივი
დაწესებულებად შეიქმნება.

ჩვენს ლიბერალებს სწადიათ ქართულ ეროვნებას
თავისუფალ განვითარების საშუალება მოუპოვონ.
საიმპერიო პარლამენტს უზრუნველ არ ჰყოფს ამ
განვითარებას. ეს ლიბერალებსაც ესმით. ამიტომაც
არის, რომ მათ ვნლავუ საჭიროდ სცნეს: « მართვა-
გამგებლობა კავკასიისა ადგილობრივ მკვიდრთ წარ-
მომადგენლების მონაწილეობით. ამიერ-კავასიის გამ-
გებლობის მოწყობა ოლქებრივ თვითმმართველობის
პრინციპებსე. » ხოლო აქაც იგივე ბუნდოვანობა და
უარყოფაა დემოკრატიულ პრინციპებისა. მართვა-
გამგებლობა « მკვიდრთა წარმომადგენლების მონაწი-
ლეობით ». თუ დემოკრატები ხართ, გამბედაობა
იქონიეთ და სოქვით, მართვა-გამგებლობა ხალხის
ხელში უნდა გადავიდეს თქვ. ხალხს არ სურს იმ-
პერიის წარმომადგენელთან მიიღოს მონაწილეობა
მართვა-გამგებლობაში. მონაწილეობას კი არ ვეძებთ,
არამედ სრულ გამგებლობის უფლებას.

რაც შეეხება ოლქებრივ თვითმმართველობას, წინ-
დაწინვე დარწმუნებულნი იყავით, რომ იგი თვით-
მართველობა ეროვნების განვითარებას არამც თუ
ხელს არ შეუწყობს, არამედ შეუშლის. ამიერ-კავკა-
სიაში რომ ოლქებრივი თვითმმართველობა დაარსდეთ,
აი რა იქნება. ამ თვითმმართველობის ფარგალში
მოჰყვებიან ქართველები, სომხები, თათრები და
სხვანი. ამ ერებს თავიანთი საკუთარი ორგანოები არ
ექმნებათ ეროვნულ საქმეების მოწესრიგებისათვის.
ყოველივე უნდა იყოს გაწყობილი საოლქო თვით-
მართველობაში. და როდესაც რამდენიმე ერი ერთად
შეიკრიბება, აღმოჩნდება შემდეგი გარემოება. ამ ერთა
ბურჟუაზიული ელემენტები დაიწყებენ ერთმანეთში
დავას და ქიშპობას. ამ ქიშპობას ეკონომიური სა-
ფუძველი დაედება სარჩულად, ხოლო ეროვნულ
ელფერსაც მისცემენ. ბურჟუაზია ერთი ერისა ბრალს
დასდებს მეორე ერის ბურჟუაზიას და მთელ ხალხ-
საც, ჩემი ეროვნების განადგურება და დამცირება
გსურთო და სხვა ამნაირი. და ამ ქიშპობაში გამარ-
ჯება, რასაკვირველია. უფრო ძლიერ და მომხადე-
ბულ ბურჟუაზიას დარჩება. თავის გამარჯვებას იგი
ბურჟუაზია საერთო საქმედ მიიხრევს და მთლად აი-
რევა მონასტერი. ჩვენში განმეორდება, რაც ხდება

დღეს ავსტრიაში, სადაც სწორედ ოლქებრივი თვით-
მართველობა არის დაწესებული. კალიციაში პოლო-
ნელთა ბურჟუაზიამ და შლიასტამ ტყავი გაამრო რუ-
ტენებს, რომელნიც, როგორც სოფლის ხალხი, მოქა-
ლაქებრივად და ეკონომიურად პოლონელებსე უფრო
ჩამორჩენილია. საქმე იქამდე მივიდა, რომ რუტენებს
თავიანთი გიმნაზიები არც კი აქვთ. ლემბერგის უნი-
ვერსიტეტი პოლონელთა ხელშია და სეიმშიაც პო-
ლონელები ბატონობენ. ბუკოვინაში მსგავსს მოვლე-
ნას ვხვდებით — იქ რუმინელები იჩაგრებიან გერმა-
ნელების მიერ. ჩეხიაში ხდომ გამოწვავა ბრძოლა
სწორედ იმიტომ, რომ თითოეულ ერს ჩხელებს და
გერმანელებს არ აქვთ განსაზღვრული და განცალკე-
ვებული ეროვნული თვითმართველობანი.

ვიმეორებთ, ამ ქიშპობის ინიციატორი და დამ-
წყობი ყველგან ბურჟუაზიაა. მხოლოდ ბურჟუაზიის
ავიტაციის შედეგად ხდომ უთანხმოება ბურ-
ჟუაზიის ფარგალსაც სცილდება და სწორედ ეს გარე-
მობა არის საჯალალდ. იგი შეათერნებს მძრძელ
ხალხის კლასებრივ თვითმეგვრების განვითარებას.
ამის ასაცილებლად საჭიროა ეროვნული თვით-
მმართველობა მიეცეს თითოეულ ერს. მხოლოდ
ეროვნულად დამოუკიდებელნი ერნი დაეკავშირებიან
ერთმანეთს ფედერატულად. ამ აზრის აღიარება ემი-
ნიათ ჩვენს ლიბერალებს, თუ არ ესმით მისი მნიშ-
ნელობა ?

ხოლო მოხალდინელ უთანხმოებასა და ქიშპობას
რომ თავი დავანებოთ, სხვა მოხალდინებაც გვაიძულებს
უარყოფოთ ოლქებრივი თვითმმართველობა და მის
ადგილს აღვიაროთ ფედერაცია ავტონომიურ ერებისა.
როდესაც თითოეულ ერს საკუთარი ჰომრული ქქება
მივბეძუბული, ამ ერის კულტურული, ტენსიკური და
მატერიალური ინტერესები უფრო ადვილად დაკმა-
ყოფილდებიან, ვიდრე იმ შემთხვევაში, სხვა და სხვა
ერი რომ ერთ ფარგალში მოათავსდეთ

ყოველივე ეს უნდა სვოდინდეთ ლიბერალებს
და სწორედ ეს საზოგადოა, რომ ამ საგანს არც კი იხსე-
ნიებენ თავიანთ რუსლუციაში.

არა, ვერაფერი დებიუტია ქართველ ლიბერალების
დებიუტი !

ზ ი ნ ი ბ რ ა ლ ი ა ?

ქართლ-კასეთის თ.-აზნაურობა შეიქტირანდა. ივრიბე-
ბიან, ბუბონ იმის თაობაზე, თუ რანაირად აიცილდნ თავი-
დამ გლეხკაცობის მტრობა, რა წამალი დასდონ აწწილ
ურთიერთობას. გუბიაში მომხდარმა ავტარულმა მძმრამბამ
ძლიერ აღამდეთა ჩვენი წარჩინებული წდებოა. გარემოება
დღითი-დღე მწვავედება, რადგან აჯანყების ალი თან და
თან ქართლ-კასეთის გლეხებსაც ედებოა.

ბუბონ თ.-აზნაურნი და მძმრამბის მიწვნების გამძ-
ვლევაში არიან. ვის ედებოა ბრალი, გლეხები რომ აჯანყ-
დნენ? ნამდვილი პასუხისმგებელი რომ აღმდგახინდეთ,
გლეხებსაც და თავად-აზნაურობასაც დიდ სარგებლობას
მოვუტანთ და მამინ იქმნენ საქმესაც ეშველობ. სოფე ამ-
ბონს, გლეხები ავვიბუტტეს, სველდუნურად აღმრებს შათში
უკმაყოფილება, თდრემ იმათი მდგომარეობა არც ისეთი
ცდეთა. დავიჭირდთ წამქქებელნი და წარუდგინდთ ბუ-
ბონატრონი და თუ ამან არ გვიშველა, მდვსთსდვით მთვე-
რობას ჯარისკაცები და ვაჩვენოთ გლეხებს, რომ ძალა
ჩვენს ხელშია და ჩვენთან ბმძოლა სარფას არ მისხვემოდ.

ხოლო უნდა ვსოქვათ, რომ ამგვარ რეაქციონერობას
დღეს თავად-აზნაურობაშიაც კი აღარ აქვს გასავალი. სასტიკ
წდმების მოტრფიალეთ სურგს უქცევენ. საქმეს ამითი ვერ

უშვავლით, პირიქით უფრო გაამწვავებთ უთანხმოებასად. მამ თუ წამქეზებლების ბრალი არ არის დღევანდელი არეულობა, სხვაგან უნდა ვეძებოთ დამნაშაველ. და აი გამოდინა ორატორები და ყოველივეს მთავრობას აბრალებენ. გლეხი უფლებებრივად შევიწროებულა, მის პიროვნებას პატივს არავინ სცემს, გლეხს კისერზე აწევს მძიმე ტვირთი სახელმწიფო გადასახადებისა, გლეხს არ აძლევენ ვერც დღევანდელ სახელმწიფო მიწებს, რომელნიც საქართველოს სამეფოს კუთვნილება იყო. ეს მიწა რომ მიეცათ, ვიწროება აღარ იქნებოდა და მემამულეთა და გლეხთა შორის არც უკმაყოფილება გაჩნდებოდა.

ამგვარ მოსაზრებათ დიდი გასავალი აქვთ თავად-აზნაურებაში. მიხეზი მთავრება ყოფილა. თუ მაგრეა შევუერთდეთ გლეხებს, აღვრდ კი თავიდაც ავიცილოთ მათი მტრება. მაგრამ თავად-აზნაურების წრეში სხვა სხვაც იხმის. კი, აწინდელი რეჟიმი სჩაგრავს გლეხს უფლებებრივად და გვინდობურად, კარგი იქმნებოდა სასახინოდ მიწების დარიცება გლეხებისათვის. მაგრამ ყოველივე ეს — რეჟიმი, გადასახადი და სხვ. — უკმაყოფილების ერთი მიზეზთაგანია. თვალზე უფრო ფარდას ნუ ავიფარებთ. გლეხები თავდაპირველად ჩვენ გვედგებიან. სამოვარი და ტყე არ აქვთ, ღალა ფრიად მაღალია, პატრუნიური სისტემა ჯერ კიდევ ძალაშია. აი მთავარი მიზეზი უკმაყოფილებისა. და რაკი ასეა, უნდა დავუთმოდ გლეხებს, შედაგათიანის პირობებით უნდა მივსცეთ მიწა, მივუზომოდ სამოვარი, ტყე და სხ. და სხ. ახე სჯიან ლიბერალი მემამულეები.

ჩვენ გვგონია, რომ მემამულეთა უმრავლესობა დაჰყვება ამ არგუმენტაციას. დაეთანხმება იმიტომ კი არა, რომ მართლა დაწმუნებულია, რომ მთავარი მიზეზი უთანხმოებისა თავად-აზნაურებაშია, მიწის მფლობელობის უკუღმართ წყობილებაში, დაეთანხმება იმიტომ, რომ სხვა გზა არ აქვს. რევოლუციის წინ ქედს ისრთან. ყველაფრის დაკარგვას, თავად-აზნაურება მზად იქმნება დააკმაყოფილოს გლეხების მინიმალური მოთხოვნანი.

მერე, საქმე ამით გათავდება? ერთმანეთს დაუთმობენ და მორიგდებიან? გულუბრყვიოდ თუ იფიქრებს ამას. უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ თვალწინ დაიწყო დიდებული ისტორიული მოძრაობა, რომელსაც სოციალურ რევოლუციის სახითი აქვს. კონცესიები, დროებითი მორიგება და სოციალურ უსაჭიროებს მოთხოვნათა დააკმაყოფილება მემამულეების მიერ. მხოლოდ ეს უკმაყოფილება, რომელიც არ შესწევს თავის მსვლელობას იმ დრომდე, სანამ სავსებით არ იქმნება გამარჯვებული. ხოლო გამარჯვებული იქმნება მამინ, როდესაც მიწა და ყოველგვარი საწარმოვო იარაღი მშრომელთა კავშირების ხელში გადავა, როდესაც საზოგადო მფლობელობის ნიადაგზე საზოგადოებრივი შრომა დამყარდება და როდესაც ამ სახით მოიხიბება ადამიანთა შორის უთანასწორობა და ექსპლუატაცია!..

« დ ა მ უ შ მ ა ნ ე ბ ე ლ ი კ რ ე ბ ა »

ჩვენი საზოგადოება დამფუძნებელ კრების მოწვევის მოლოდინშია. ერთი რამ აწუხებს მხოლოდ, ვაი თუ ჩვენი ქვეყანა პარლამენტარულ რეჟიმის ფარგალში არ შევიდეს, ამგვარი მიმი ისეთი დიდია ჩვენს საზოგადოებაში, რომ კავკასიის უმთავრესს ქალაქების თვითმმართველობათ გადასწყვიტეს, გავზავნოდ პეტერბურგში ვაგებო და ვიშუამდგომლოთ, პარლამენტარისმის « სიკეთენი » ჩვენც ვგარჯულნოდ. კარგად გვესმის ამნაირი სურვილი, არ გვესმის მხოლოდ ერთი რამ. ამოდენა დარბაისელ და სერიოზულ ხალხს სჯერა, გულით სჯერა, რომ მთავრობას მართლაც სურს დამფუძნებელ კრების მოწვევა, ვერ კი ხედავენ სრიკებს და ყოველგვარ დინებს, რომელთაც ერთად ერთი დანიშნულება აქვთ, რაც შეიძლება მეტი დრო მოაგებინონ მთავრობას, საქმე გააჩანჩალონ და მერე, როცა გამოსადეგ მომენტს ჩაიგდებენ ხელში და სულაც მოსბობენ ამ სასაცილო კომედიას!

აი თუნდ გადაიკითხეთ « Правит. Вѣстник »-ში დაბეჭდილი მინისტრ ბულიჯინის განცხადება. მინისტრი აღიარებს, მალე იქნება მოწვეული « კონფერანსი » კონსტიტუციის შესამუშავებლად. დამფუძნებელ კრებაზე ლაპარაკიც არ არის, მინისტრი სიტყვას — « კონფერანსს » ირჩევს სახითად « დამფუძნებელ კრებას ». ეს გარემოება იმ თავითავე ახასიათებს იმ « კონსტიტუციას », რომელსაც « კონფერანსი » შეიმუშავებს. ისტორიაში არ გაგონილი ამბავია ამგვარი პროცედურა და ამგვარი თავგებდური ცინიზმი! მიაქციეთ ყურადღება ახლა ვისგან შესდგება « კონფერანსი ». შესდგება თ-პირველად მთავრობის წარმომადგენელთა და მაღალ ხარისხის მოხელეთაგან. გარდა ამისა მოწვეული იქმნებიან « ცნობილი მღვანენი », « რომელთაც შესწავლილი აქვთ იმპერიის სხვა და სხვა კუთხეების პირობები, შესწავლილი აქვთ, რამდენად არის ხალხი განვითარებული და მოქალაქებრივად მომზადებული ».

აქ სიტყვაც არ არის ნათქვამი იმის შესახებ, თუ რამდენი კაცი იქმნება მთავრობის მიერ მოწვეული, რამდენი საზოგადოების მიერ. რამც თუ ამ საგანზე არ არის არავითარი საჭირო ცნობა, არც ის არის განმარტებული, « ცნობილი მღვანენი », რომელთაც შესწავლილი აქვთ ხალხის ცხოვრება, ხალხის მიერ არ ჩეული იქმნებიან, თუ იმასაც დანიშნავს მთავრობა. ასწონეთ ყოველივე ეს და უეჭველად დაწმუნდებით, რომ ბულიჯინი, ტრეპოვის კრეატურა და პარლამენტარისმი ისე არიან დამორებული ერთმანეთს როგორც ცა — დედამიწას!

მაგრამ განცხადებაში კიდევ არის საყურადღებო რამ. მინისტრი წინდაწინვე უცხადებს « კონფერანსის » წევრებს, დიდ პროცენტებს ნუ მოამზადებთ, თორემ « კამათი მლიერ გამხელდება და მუშაობის მსვლელობა შეფერხდება... კონფერანსის წევრნი იძულებული იქმნებიან სხვა და სხვა ზეგად მოსაზრება წარმოდგინონ გასარკვევათა » მდამოდ რომ ვსთქვათ, მინისტრი ეუბნება მომავალ « დეპუტატებს », თავს ნუ გაიცხელებთ სისტემატიურ პროცენტების შეთხზვაში, ნურც საკუთარ აზრის გატარებას ჰფიქრობთ, ყოველისფერზე მთავრობა იფიქრებს და შრომას გაგიადვილებთ. ხოლო რა სიკეთე მოჰყვება ამგვარ მშრუნველობას, ამას ხომ ჩვენებური « პარლამენტარებიც » გამოიგნობენ.

აი თქვენი დამფუძნებელი კრება, « კონსტიტუანტი », რომელმაც საფუძველი უნდა დაუდოს « კანონმდებლობითი კრების » (legislature-ის) მოწვევისათვის! აფრინეთ პეტერბურგში კავკასიის დელეგატები. სავა რუსის « მოღვაწენი » გაემბებიან თვითმცრობელობის მიერ გამბულ საფანგში, დეე იქ თქვენებიც იყვნენ! მამ მშვიდობით მგზავრობა, რობესპიერებო და დემულენო!

ჩ ვ ე ნ ი ტ ა კ ტ ი კ ა

ხალხი იბრძვის, ხალხი ხმამაღლა აღიარებ ძველ შემოტყველ წყობილების დამხობის საჭიროებას. თავის თვით-მოქმედებით და გამბედაობით ხალხმა მიიხიჭა თავისუფალ სიტყვის და მოქმედების უფლება. კანონებს ადარავინ დასდევს. ხალხი მოქმედებს და ლაპარაკობს თავისუფლად. იგი არ უცდის იმ დროს, როცა მთავრობა დააკანონებს ახალ რეფორმებს, მას ფაქტიურად თავის ინიციატივით შემოაქვს ეს რეფორ-

მები. და ამ გარემოებაში, თვით-მოქმედების ამგვარ სიმტკიცეში იმალება ძალა თანამედროვე მოძრაობისა ჩვენში.

საჭიროა მხოლოდ, რომ შუაგზაზე არ შევჩერდეთ, საჭიროა ჩვენი თავის იმედით და დახმარებით მივიდეთ ბოლომდე. ძველი რეჟიმის უვარგისობა ყველასათვის აშკარა შეიქმნა, გარდა მთავრობისა. მთავრობა ებღაუჭება მას, როგორც წყალში დადრჩობის დროს ადამიანი ებღაუჭება ნაფიქსს. მთავრობა ხალხს არ დაუთმობს, ხალხს არ მიხვდება თავისუფლებას. თავისუფლების მომპოვებისათვის, თავისუფალ პოლიტიკურ რეჟიმის დამყარებისათვის სისხლი დაინთხევა. ხალხი შეიარაღებული აჯანყების საშუალებით განდევნის როდინოვების სახლობას და დაამკვიდრებს ახალ პოლიტიკურ ცხოვრების ფორმებს. ბრძოლა აუცილებელია!

როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ ამ შემთხვევაში? ცენტრში რევოლუციონერები შეებრძოლებიან თვითმყრებელობას და მთელ მისს მიერ დამყარებულ სისტემას. განაპირა ქვეყნები რაღა ტაქტიკას უნდა დაადგინონ? ჩვენ ჩვენი მხრით უნდა შევებრძოდეთ ადგილობრივ თვითმყრებელობის ორგანიზებს, რომელსაც თავისი ძლიერი ორგანიზაცია აქვს, რომელსაც ჰყავს თავისი ჯარი. თუ ჩვენ ასე არ მოვიქცებით, ცენტრში რომ გაიმარჯოს კიდევაც რევოლუციამ, დამარცხებული მთავრობა მოიხმარს ამ განაპირა ქვეყნებში მყოფ ჯარებს და ხელმეორედ მიიტანს იერიშს ცენტრში გამარჯვებულ რევოლუციასზე. და ამრიგად განაპირა ქვეყნები კონტრ-რევოლუციის ნიადაგად განდებიან.

ამის ასაცილებლად აჯანყება უნდა მომზადდეს რუსეთის ყველა კუთხეებში, განსაკუთრებით განაპირა ქვეყნებში. ჩვენ უნდა შევებრძოდეთ ადგილობრივ მმართველობას. უნდა დავამხდოთ იგი. კავკასიის სარეგულაციო ორგანიზაციები მოიწვევენ ხალხთა წარმომადგენლებს კავკასიის დამფუძნებელ საერო კრების დასაარსებლად. დამფუძნებელი კრება შეიქმნა კავკასიის ავტონომიურ ერთა ფედერატიული კონსტიტუციას. ამავე დროს ჩვენ მოლაპარაკებას გავმართავთ ცენტრთან და პეტერბურგში მოწვეულ დამფუძნებელ კრებას განსაზღვრულ პირობებით დაგვიკავშირებით და შევატანინებთ ახალ კანონმდებლობაში კანონიერ კანონის კავკასიის კონფედერაციის არსებობისათვის.

ასეთი უნდა იყოს ჩვენი მოქმედება. არ გვესმის, რატომ უნდა შემუშავდეს პეტერბურგში და არა ადგილობრივ, კავკასიაშივე კავკასიის ახალ რეჟიმის კონსტიტუცია! თუ იმდენა შევიძელით, რომ ბრძოლა ცენტრის დაუკითხავათ დავიწყეთ, თუ ჩვენი ხალხი პოლიტიკურად მომწიფდა, არ გვესმის, რატომ თვითონვე არ უნდა გადასწყვიტოს ის, თუ რა სახითის პოლიტიკურ ფორმებში მოაწესრიგებს თავის ცხოვრებას!

ჩვენ ვართ ფედერალისტები და ავტონომისტები პრაქტიკულ რევოლუციონერულ მოქმედებაშიაგ. ამით არამც თუ არ უარვყოფთ სოლიდარობას რუსეთის და სხვა ერთა რევოლუციონერებთან, პირ-იქით სოლიდარობა რევოლუციონერთა დამოუკიდებელ მოქმედებით უფრო გამტკიცდება. თუ რევოლუციის დასაწყისში გამოვიჩინეთ თვით-მოქმედება, ამ თვით-მოქმედების საშუალებით რევოლუციის ბოლომდე

უნდა მივიდეთ. და დამოუკიდებელი რევოლუციონერული ტაქტიკის აღიარება ხელს არ შეგვიშლის დროის და მოთხოვნების მიხედვით შევთანხმდეთ ჩვენი მოქმედება რუსეთის და სხვა ერთა პარტიების მოქმედებასთან. ინიციატივას თავისუფლება, მოქმედებას სოლიდარობა — აი ჩვენი ტაქტიკის დედა-ასრი!

მუღივ ჯარის გაუხმების საპირობა

გურულ გლეხებმა ფრიად საყურადღებო მოსაზრება გამოხატეს მუღივ ჯარის მავნებლობა-უსარგებლობის შესახებ. ჩვენ არავის ვემტერებით, არც ჩვენ გვემტერება ვინმე. მშრამეღ ხალხის ზირველი მოთხოვნა მშვიდობიანობაა. არ გვინდა ჯარი. საჭირო არ არის აუარემგელი ფული დავხარჯოთ იმისათვის, რომ ჩვენ და ჩვენს მძებს კაცის-მკვლელობის ხელობა შეასწავლენ. ხოლო თუ საიდანმე მტერი გავვიჩნდა და შემოესია ჩვენს ქვეყანას, ჩვენ თითონ გავუწევთ ახგარიშს. ყველა აიღებს ხელში თოფ-იარაღს და დაიგავს თავის ქვეყანასაღ. ამ მოსაზრების ძალით, გურული გლეხები მუღივ ჯარის გაუქმებას თხოულობენ. მუღივ ჯარის ადგილს საერო მილიცია უნდა დაიწესდეს.

საერო მილიცია მუღივ ჯართან შედარებით დემოკრატიული დაწესებულებაა. იქ ხალხთა და ჯარისკაცთა შორის არავითარი განსხვავება არ არის. ყოველი მამა-კაცი ჯარისკაცად ითვლება. შვეიცარიის მილიციაში, მაგ., თითოეული მოქალაქე მის ააქვს თოფ-იარაღი. წელიწადში სამ-დარჯივს ანდომებს სამხედრო საქმის შესწავლას. დანარჩენ დროს თავისუფალია, ხალხს, საქმეს და მუშაობას არ არის დამორბეული, ხრელაშიაგ მის ვარჯიშობს. ყველა სოფელში თავისუფალ მხრლეღთა ჯგუფები და წრეებია დაწესებული.

მაგრამ შვეიცარიის მილიციასაც თავისი ნაკლებეკანება აქვს. ეს ნაკლებეკანება თვით მილიციის ორგანიზაციაში ვი არ არის, არამედ იმაში, რომ იქაც, როგორც მთელს დედაამიწის ზურგზე, მთავრობა და ბურჟუაზული კლასები იმველიებენ ხოლმე მილიციას გაფიცულთა და საზოგადოდ „მინაურ მტერთა“ წინააღმდეგ. ამ მოვლენის წინააღმდეგ ბევრს ქადაგობენ შვეიცარიაში, ხოლო ჯერ ვერას გამხდარან. დემოკრატიული მილიცია დედამდე კლასებრივ ინტერესებს ემსახურება.

ყოველივე ეს წინდაწინვე უნდა გავითვალისწინოთ, სამხედრო წესების რეორგანიზაცია ჩვენში ერთ უდიდეს საჭიროებად მიგვაჩნია. მუღივი ჯარი უნდა გაუქმდეს. კავკასია და საქართველო არავის ეღმება. მორეულ და მახლობელ აღმოსავლეთში არავითარი „მისიები“ არ აქვს. და თუ მას დაუწყებენ დავას სხვები, გურულ გლეხთა თქმისა არ იყოს, მილიცია მთელ ხალხისაგან შემდგარი გახვებს მათ პასუხს. ხოლო მუღივ ჯარის გაუქმება და მილიციის დაარსება საკმარისი არ არის. მილიციის დაარსებაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქმნება სახურველი, თუ რომ მთავრობას უფლება აღარ ექნება თავის და გაბატონებულ წოდების ინტერესების დასაცვლად მოიხმაროს ეს ძალა.

მართლაც, განა თანამედროვე უსამართლო სოციალ-ბოლიტიკური წყობილება ჯარზე არ არის დამყარებული?! ჩამოაგალეთ მთავრობას ჯარი, ნუღარ დაესმარონ მემამულეებს და მექარხნეებს მუშებთან შეტაკების დროს და თქვენ მოწამენი იქმნებით, რა ნაირის სიჩქარით დაიძვება და დაიშვრება ძალმომრეობაზე აყენებული საზოგადოება!

დავიარსოთ საერო მილიცია, მივცეთ ხალხს თოფ-იარაღი, ხოლო ჩვენი მილიცია არ დაიგავს საუკუნეებით არსებულ უსამართლო წესს. მან უნდა იხმაროს იარაღი მხოლოდ თავისუფლების და დამოუკიდებლობის დასაცავად, და როცა გაბატონებულ კლასებს ამ გზით მოშველების იმედი აღარ ექნებათ, ხალხი მხოლოდ მაშინ ამოიღოსთქავს თავისუფლად და ადვილად განახორციელებს თავის დიდებულ კულტურულ და სოციალურ მისიას!

მასალა პარტიულ პროგრამის შემუშავებისათვის

აგერ ორი წელიწადი მესრულდა მას აქეთ, რაც „საქართველო“ გამოვიდა პირველად. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ შეგვისთ პოლიტიკურ, ეროვნულ და სოციალურ სხვა და სხვა ვითარებებს. ამავე საგნის შესახებ პარტიის კომიტეტებსა და წრეებშიც დროგამოშვებით ჰქონდათ სიღრმე მოლაპარაკება. სწორედ დღემდე არც ჩვენის ნაწერებისათვის, არც კომიტეტებში დამწიფებულ აზრებისათვის სისტემატური და მთლიანი სახიათი არ მიგვიცია. ჩვენს წერილებსა, პრეკლამაციებსა და ბრძოლებში ადვილად იპოვნით სახელმძღვანელო მთავარ აზრს, რომლითაც ვსვამდვანელობდით. აქა-იქ პროგრამის შემადგენელი ნაწილებიც არის შემუშავებული. სწორედ ყოველივე ეს გადაბმული, ერთის სინტეზით გაერთიანებული არ არის. დღეს ვკისრულობთ ამ შრომას და ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამის პროექტს შემდეგს ნომერში გამოვაქვეყნებთ.

რადგან იმავე სახიათის შრომა კარგა ხანია კომიტეტებშიაც არის დაწვრილი, ამიტომ ამ კომიტეტების საყურადღებოდ ვგეტყვით სწორედ მასალას, მათთვის გამოსადგებს. ჩვენ მივუყარეთ თავი სოციალისტურ სოციალურ პროგრამებს, ძველსა და ახალს. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა უკვე გვქონდა დაბეჭდილი, (1) ამიტომ ხელმეორედ აღარ ვგეტყვით. ამ პროგრამების გადათავსებებშიც უნდა გვხვდებოდეს არ დარჩება. სოციალთში ადამიანი იპოვოს სად მოხსარებას, სწორედ სოცი წარმოადგენს ტიპიურ ნიმუშს იმისას, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს პოლიტიკური პროგრამა.

„საქართველო“ რედაქციის მიერ წარდგენილი პროგრამის პროექტი და კომიტეტებში შემუშავებული მოხსარებანი თვლილ საფუძვლად დაედება ჩვენის პარტიის მორიგ პირველ კონგრესის მუშაობას — იმ მომავალ კონგრესისას, რომლის მოწვევა ასე აუცილებელი შეიქმნა, რადგან მხოლოდ კონგრესი მისცემს პარტიას განსაზღვრულ კვლევას, დამატკიცებას, შესჯავის პროგრამის პროექტს ან ეიდე შეადგენს ახალს პრეპროექტულ მოქმედებისათვის. ჩვენი პარტია ამნაირად მომზადებული და სწორედ გამოვრებული განაგრძობს თავის მოქმედებას საქართველოს სასოციალდემოკრატიულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, სადაც ყოველთვის რევოლუციონერ სოციალისმის და ფედერალიზმის მცველად და მკადაგებლად დარჩება!

რუსეთის სოციალისტ-კავოლუციონერთა პროგრამის პროექტი (2)

სანამ რუსეთის ვარდაქმნის პროცესის მსვლელობა არასოციალისტურ ძალთა ხელმძღვანელობის ქვეშ იქმნება, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია მხარს დაუჭერს, გამოექვამაგება ან რევოლუციონერის ბრძოლით წაჭკვევს მთავრებას შემდეგს რეფორმებს:

ა. პოლიტიკურ და უფლებათა სფეროში:

დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარება, ფართოდ ავტონომიით ილქათა და კომუნათათვის, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში; გატარება შეძლებისა და გვართად ფედერალურ პრინციპისა სხვა და სხვა ეროვნებათა ურთიერთობის დამდვიდებულებაში; ეროვნებათათვის მინიჭება თვითგამორეკვივის უფლებისა; საყვაველთად, პირდაპირი, ფარული და თანასწორი საარჩევნო უფლება ყველა 20 წლისაზე არა უმცროს მოქალაქს, — სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად; პროპორციონალური წარმომადგენლობა; პირდაპირი სახალხო ვანონმდებლობა (რეფერენდუმი და ინიციატივა); უფლება თანამდებობის პირთა არჩევისა, მათი გამოცვლისა და პასუხისგებაში მიცემისათვის; სრული თავისუფლება სინიდიისა, სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებათა, მუშათა გაფიცვისა და კავშირთა; საყვაველთად

და სრული სამოქალაქო თანასწორუფლებიანობა; პირდენებისა და ბინების ხელშეუხებლობა; ეკლესიისა და სახელმწიფოს სრული განმორება და სარწმუნოების აღიარება კერძო საქმედ; საკვლევებლად და თანასწორი საერო სწავლა-განათლების შემოდება სახელმწიფოს ხარჯით; ენათა თანასწორუფლებიანობა; მართლ-მსაჯულების უსასყიდლობა; მუდმივ ჯარის გაუქმება და მის ნაცვლად სახალხო მილიციის შემოდება.

ბ. ეკონომიურ სფეროში:

1. მუშათა ვანონმდებლობის საქმეში სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას მიზნად აქვს მუშათა კლასის სულელოდ და ფიზიკურ ძალთა დაცვა და გააღვივლება მღვაველ განთავისუფლებისათვის ბრძოლისა, რომლის სასწავლო ინტერესებს უნდა დაექვემდებარდეს ყველა ვიწრო პრაქტიკული, ავილობრივი და პროფესიონალური ინტერესები სხვა და სხვა მუშათა წრეებისა. ამ მიზნით პარტია დაიკავს: რაც შეიძლება მეტი შემოკლება სამუშაო დროისა წუდმეტ სამუშაო დროგამო (100 პროც. ურბანოში, ტრუბა); დაწესება ვანონის მიერ თანამედროვე ჰიგიენის მოთხოვნების თანახმად სამუშაო დროის მაქსიმუმისა (უახლოვეს დროს უნდა იქმნას შემოდებული 8 საათის სამუშაო დღე უმეტეს სამრეწველო დაწესებულებებში და შედარებით უფრო ნაკლები ისეთებში, სადაც მუშაობა ჯანმრთელობისათვის საშიშო და მავნებელია); დაწესება მინიმალურ ხელფასისა თვითმმართველობის ორგანოებისა და მუშათა პროფესიონალურ კავშირების მეთაურებში; სახელმწიფო დაწესებულება (უბედურ შემთხვევებისაგან, უსაქმდებისაგან ავადმყოფობის დროს და სიბერისაგან და სს.), ეს დაწესებულება უნდა იყოს სახელმწიფოს და პარტიისა ხარჯით და თვით დაწესებულთა თვითგამკვიდების ნიადაგზე; ვანონის მიერ მრდმის დაცვა ყოველგვარ სამრეწველო და საკაჭრო დაწესებულებებში; თანახმად შეცნინებულ გვიგინის მოთხოვნებისა, თვით მუშათა მიერ აღორჩეულ საფაბრიკო ინსპექტორთა წინამხედველობით (ნორმალურად მოწყობა პროცესისა, გვიგინურ-სადგომების გამართვა, ადვრძალვა მცირეწლოვანთა (16 წლამდე) მუშაობისა, სამუშაო დროის შემოკლება მოზარდთათვის, ადვრძალვა ქალთა და ბავშვთა შრომისა სოციალურ წარმებებაში და სოციალურ შემთხვევებში, ყოველკვირული მუშუყვეობის დასვენება და სს.); მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციების განმტკიცება და ორგანიზაციების მოქმედების თან-და-თანის გაფართოვება სამრეწველო დაწესებულებათა მართვა-გამკვებლობაში მონაწილეობის მიღების საქმეში.

2. აგრარულ პოლიტიკის და აგრარულ ურთიერთობის კითხვებში სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას აქვს მიზნად დასმული სოციალისმის ინტერესებისათვის და ბურჟუაზულ-მესაკუთრებრივ პრინციპების წინააღმდეგ საბრძოლველად ისარგებლოს რუსის კლესის შესვდულობით ობშჩინაზე და მრდმასზე, ისარგებლოს გლეხის ტრადიციებით და მიწისმფლობელობის ფორმებით, განსაკუთრებით კი გამოიყენოს გლეხის მსხედველობა მიწასზე, როგორც ისეთ რამესზე, რაც უნდა ეკუთვნოდეს მიწის მუშას. ამის გამო პარტიას მიზნად ექმნება სოციალისმის მოხდენა ყველა მიწისა, რომელიც კერძო მესაკუთრეთ ეკუთვნისთ, ე. ი. ეს მიწა უნდა ჩამოერთვას კერძო მესაკუთრეთ და გადაეცეს ობშჩინათ და ობშჩინათა ტერიტორიალურ კავშირს სასოციალდემოკრატიული სოციალისმისათვის და თანასწორად მოხსარებლად. თუ ეს მთავარი და ძირითადი მოთხოვნაა მინიმალურ აგრარულ პროგრამისა; ერთნაირად, როგორც რევოლუციონერი სძმა, ვერ იქმნა განსორციელებული, მამინ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია თავის აგრარულ პოლიტიკაში იმის ცდაში იქნება, რომ შემოღებისა და გვართად მიუახლოვეს ამ მოთხოვნის საკვებით განსორციელებას. ამისათვის დაიკავს ისეთ სომებს, რომელიც მოახლოვეს სასურველ ფორმის განსორციელებას. პარტია ცდებდა, ობშჩინათა და ტერიტორიალურ კავშირთა მოქმედება კერძო საკუთრებაში მყოფ მიწების ექსპროპრიაციისას, ცდებდა სამონასტრო, საუფლისწულო, საკაბინეტო მიწები სახელმწიფო მიწებთან ერთად გადაეცესთ ობშჩინ-

(1) იხ. „საქართველო“ № 9, 1904 წ. (2) Rev. Proc. № 45. 5 Мая 1904 г.

ნებს, რათა ეს მიწა ობშინებისა და გადასახლებულთა საჭირებრათ მოქმადრდეს; მიწით სარგებლობის ფასი არ უნდა აღემატებოდეს წმინდა შემოსავალს (საერთო შემოსავლიდან გამორიცხება დანახარჯი წარმოებისათვის და ნორმალური სასყიდელი შრომისათვის); რევა მიწა ერთის ობშინიკის ხელიდან გადავა მეორე ობშინიკის ხელში, პირველს სასლურთ უნდა მიეცეს მიწის გაუმჯობესებისათვის, თუ ასეთი გაუმჯობესება მოახდინა; რენტა განსაკუთრებულ გადასახადის სამუალებით ობშინათა და თვითმმართველობათა შემოსავლის წყაროდ უნდა გადაიქცეს.

3. საფინანსო პოლიტიკის ვითვებში პარტია გასწევს აგრეთვე, რომ შემდგომელ იქმნას პროგრესიული გადასახადი შემოსავალზე და შემკვიდრებაზე, მცირე შემოსავლის მქონენი სრულიად უნდა იქმნენ განთავისუფლებულნი ამ გადასახადისაგან; არაპროგრესიული გადასახადი უნდა გაუქმებულ იქმნას (ხოლო იგი დარჩება ფუფუნებისათვის დანიშნულ საგნებზე), აგრეთვე უნდა გაუქმებულ იქმნას მფარველობითი ბაჟი და სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რომელიც შრომას აწევს ვისებრც.

4. მუნიციპალურ და საეროდ კითხვათა სფეროში პარტია იმის ცდაში იქნება, რომ ხელი შეუწყოს ყოველგვარ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებს (უფასო საექიმო დახმარება, საეროდ აგრეთვე მთელი ორგანიზაცია, წყლის მიღის, განათების, და სამომავლოდ საშუალებათა კომუნალიზაცია და სხვ.); ქალაქების და სოფლების სასოფლო-სამეურნეო უწყობით ფართო უფლება გადასახადი დაადონ უძრავ ქონებათ და აგრეთვე ძალით ჩამართონ ეს ქონებანი პატრონთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა მუშათა სადგომების დაარსების მოთხოვნა დაიბადება; პარტია დაიცავს კომუნალურ, საეროდ და სახელმწიფო პოლიტიკას, რომელსაც მიზნად ექნება ხელი შეუწყოს კოლექტივის დემოკრატიულ ნიადაგს.

5. რაც შეეხება სოციალურ სფეროს, რომელთაც მიზნად აქვს ბუნებრივად სახელმწიფოს ფარგლებში მოახდინოს სოციალისტურ-რევოლუციონერთა პარტიის შექმნისა და დიქტატორის ამგვარ სფეროს მხარდაჭერა, თუ დემოკრატიზაცია მთელის წყობილებისა საკმარისადაა წინ წაწეული და სასოფლო-სამეურნეო განწყობილება იხეთია, რომ დანამდილობით შეიძლება ითქვას, რომ მუშათა კლასი არ ჩაგარდება მმართველ ბიუროკრატიის ხელში. სასოფლო-სამეურნეო რევოლუციონერთა პარტია აფრთხილებს მუშათა კლასს იმ სახელმწიფო სოციალისტების წინააღმდეგ, რომელსაც ერთმხრივ მიზნად აქვს თავის სასოფლო-სამეურნეო მიზანს მუშათა კლასის თვითნებობა; მეორეს მხრივ კი ეს არის ერთგვარი სახელმწიფო კაპიტალიზმი, რომელიც მრეწველობის და ვაჭრობის სხვა და სხვა დარგებს მმართველ ბიუროკრატიის ხელში უყრის თავს, რათა ბიუროკრატიის სამუალები შეიძინოს თავისი ფისკალური მიზნები განსჯის რევილს.

სოციალისტურ-რევოლუციონერთა პარტია იწყებს რა პირდაპირ რევოლუციონურ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, სწევს აგრეთვე „სემსკი სოვობრს“ (დამფუძნებელ კრების) მოსაწყვად; ეს კრება უნდა იქმნას მთელ ხალხის მიერ სქებისა, წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად თავისუფლად არჩეული. მან უნდა გააუქმოს თვითმპყრობელობა და გარდაქმნას მთელი თანამედროვე წესწყობილება. თავის პრोगრამას პარტია დაიცავს დამფუძნებელ კრებაში, ხოლო ეგდება რევოლუციონერის სამუალებითავე განამტკიცოს.

რუს ანარქისტთა დეკლარაცია

(Хлеб и Воля, № 14).

ჩვენ, სხვა და სხვა ჯგუფის ანარქისტები შევიკრიფეთ რა თანამედროვე ისტორიულ მდგომარეობის შესახებ მონათხილავად, შემდეგი დავასკვნით.

1) ჩვენი მიზანი — სოციალური რევოლუციაა ე. ი. სრულ

ლი გაუქმება კაპიტალიზმისა და სახელმწიფოს, რათათს ადვილს ანარქისტულ კომუნისმის დამყარება.

რადგან რუსეთში რევოლუცია ახლოვდება, ჩვენ არ შეგვიძლია არ მივიღოთ აქტიური მონაწილეობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ატეხილ მოძრაობაში. ვრანსთ-რა თვითმპყრობელობას სახელმწიფოს ერთ უმავნეოვებს ფორმად; ამასთანავე იმ აზრისანი ვართ, რომ ჩვენს სამტკმედო სხანად არ უნდა გავისადოთ მხოლოდ ხელის შეწყობა თვითმპყრობელობის დამსობაში, არამედ გავაფართოვოთ ბრძოლა და გამოვუხსნადოთ იმი კაპიტალიზმსა და სახელმწიფოს.

ჩვენ არ მიგვაჩნია შესაძლებლად გავყოთ ჩვენი ბრძოლა ორ ერთმეორის მიმდევარ პერიოდად: ერთი — პოლიტიკურ რევოლუციითა მოახდინად, და მეორე — ეკონომიურ რევოლუციით, ახალ სახელმწიფო დაწესებულებათა საშუალებით. ჩვენის აზრით დღესვე უნდა მოვიწვიოთ გალატაკებული გლეხები და ქალაქის მუშები უსახელმწიფო სოციალისტების განსჯის რევილად. ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რომ ბრძოლის ნაყოფის მნიშვნელობა დამკვიდრებული იქნება იმ რევოლუციონერ ენერგიასზე, რომელსაც ხალხი გამოიჩენს ამ ბრძოლაში.

2) დარწმუნებული ვართ-რა, რომ მხოლოდ სახალხო რევოლუციის სამუალებით შეიძლება ჩვენის იდეალის განსჯის რევილად, ვფიქრობთ; რომ ანარქისტებმა უნდა მიმართონ თავიანთი ძალ-ღონე საყოველთაო გაფიცვის მოახდინად, ეს გაფიცვა უნდა მოახდინონ სოფლისა და ქალაქის გალატაკებულმა ხალხმა და ამ გაფიცვის სამუალებით ხალხს შეიძლება ეძლევა მიემსროს იმ საყოველთაო გაფიცვას, რომელიც დღეს მზადდება ვერობაში და რომელიც შეიძლება გადიკცეს სოციალურ რევოლუციის დასაწყისად.

3) თანამად ჩვენის პრინციპებისა სახელმწიფო და ეკონომიურ ძალმძრეობის არსებობა ჩვენ მიგვაჩნია სავალდებულოდ, რომელიც არავითარ თავისმართლებას არ სჭირდება, აჯანყებისა და თავისდასმისათვის დამმონაგებლბსა და ექსპლუატატორებზე. ეს აჯანყება შეიძლება იქმნას როგორც პირადი, აგრეთვე ჯგუფობრივი. რაც შეეხება პირად აქტებს, ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ ამგვარი აქტები არ უნდა იქმნან შედეგად ორგანიზაციითა და რევილბებისა, ამიტომ კითხვა იმის შესახებ, საჭირდა თუ არა იქმნას სმარებული ტერორისტული აქტი ამა თუ იმ შემთხვევაში, უნდა გადასწყდეს ადვილობრივ პირობათა მიხედვით.

4) ანარქისტთა ერთობა მტკიცდება არა ცენტრალურ კომიტეტთა სამუალებით, არამედ პრინციპების საბოლოო მიზნის ერთობითა და რევოლუციონერის სოლიდარობით. ყოველ შეჯგუფებისა და საერთო პარტიულ მოქმედების საფუძვლად ჩვენ მიგვაჩნია ნებაყოფლობითი შეთანხმება პირდაპირთა ჯგუფებში და ჯგუფთა ერთმანერთ-მოერთს. გამოდამ დაგვანახა, რომ ამგვარ პრინციპის აღიარებით სოციალისტური ვითვებში ვერძო პირნი და ჯგუფნი უფრო მკიდრად შეთანხმდებიან და ამასთანავე ასეთ პირობებში გამოამკარავდება სოციალური რევოლუციონური ენერგია და ვერძო ინიციატივა.

5) რადგან ჩვენი პროგრამა მკარად განსჯავდება სხვა პროგრამებისაგან, ამიტომ უნდა შევქმნათ რუსეთში დამფუძნებელი, განსჯალკვებული ანარქისტული პარტია. ჩვენ არ შეგვიძლია კავშირით შევკვრათ სხვა პარტიებს, თუნდაც რომ სოციალისტური იყვნენ ისინი, ამისათვის ჩვენ უნდა ვუღალატოთ ჩვენს პრინციპებს. ანარქისტები, როგორც წყვილი, ამ პარტიებში ვერ შევა და მათ ბიბრალის ქვეშ ვერ იმტკმედებს.

« ნაროლოპოლცების » პროგრამები

1862 წლის « მლოლდაია როლია » ში (ახალგაზრდა რუსეთი) კვითხულობთ :

„ თანამედროვე დესპოტური მმართველობა რესპუბლიკალურ-ფედერატულ კავშირად უნდა გადაკეთდეს... ჩვენ

არცაა რამდენ ოლქებად დაიყოფება რუსეთი, რომელი გუბერნია რომელ ოლქის ფარგალში იქმნება მოთავსებული. ეს კითხვა თვით ხალხმა უნდა გადასწყვიტოს. თითოეული ოლქი მიწადამქმედ საზოგადოებისაგან (ობშჩინა) შეიქმნება. ამ ობშჩინების წევრთ თანასწორი უფლებები მიენიჭებათ. მიწა, საზოგადოების წევრს რომ მიეზღებოდა, სამუდამოდ მფლობელობაში არ მიეცემა, არამედ განსაზღვრულ ვადით. ხოლო ყავლის გათავების შემდეგ საზოგადოება ხელმძღვრედ გამოიწინავს მიწას. საზოგადოების სხვა ქონება... მესაკუთრის სივდილის შემდეგ, საზოგადოების კუთვნილებად რდება. ჩვენ მდვიითხვთ საზოგადო ქონების დაწესებას. ამ ქონებას მთელსავე საზოგადოების მიერ არჩეულნი პირნი... ჩვენ საზოგადო დეჟენების დაარსებას ვითხოვთ. ამ დეჟენებში საქონელი იმ ფასად უნდა გაიყიდოს, რა ფასადაც იგი ნამდვილად ედრება. ვითხოვთ ბავშვების საზოგადო აღზრდას, საზოგადოებამ უნდა არჩინოს ისინი სწავლის დაბოლოებამდე. საზოგადოებამ უნდა შეინახოს აგრეთვე ავადმყოფები და მოსუენნი და ყველა ისინი, რომელთაც თავის ხარჩენად მუშაობა არ შეუძლიათ. საერო კრების გარდა (национ. собрание. — პარლამენტი), რომელიც მთელის რუსეთის ამდრჩეულ კაცებისაგან შესდგება და რომელიც რუსეთის დედა-ქალაქი უნდა შეიკრიბოს, უნდა დაწესდეს ოლქების უმთავრეს ქალაქებში სხვა კრებებიც (პარამენტი). ამ კრებებში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ოლქის წარმომადგენლები. ოლქებმა ხმის უმეტესობით უნდა გადასწყვიტონ, ჰსურთ თუ არა რუსეთის ფედერატულ რესპუბლიკის ფარგალში შევიდნენ. პოლიციისა და ლიტერის სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭოს, რადგან მათ ამგვარი სურვილი გამოადგინადეს ».

« ნაროდნოე დელო »-ში (ხალხის საქმე) 1868, ამნაირი აზრებია აღიარებული :

„ ჩვენ ვგებთან უფლებებში გათანაბრებულნი უნდა იყვნენ. მიწა მხოლოდ იმთ უნდა ეკუთვნოდეს, ვინც თავის მარჯვენით ამუშავებს — ე. ი. მიწადამქმედთა ობშჩინებს. კაპიტალები და სამუშაო ყოველი იარაღი მუშათა ახორციელებს გადაეცემათ. ჩვენ გსურს თავისუფლება მივანიჭოთ იმპერიის მიერ დაჩაგრულ სხვა ერებსაც. ამ ერთა შორის ვინც მდინდომებენ, ისინი რუსეთს ფედერატულად დაუკავშირდებიან ».

რუს-ბლანკისტების ორგანო « ნაბატ »-ი 1875 წ. აღიარებდა :

„ რევოლუციონური სახელმწიფო განსაზღვრულ რეფორმების საშუალებით განახორციელებს სოციალურ რევოლუციას. გლეხთა საზოგადოებას (ობშჩინას) იგი ობშჩინა-კომუნად გარდაქმნის. ამ კომუნებში დაწესდება საზოგადო მფლობელობა სამუშაო იარაღისა (მიწისა) და საზოგადო წარმება მრეწვისა. საწარმოო იარაღი ვერძო მესაკუთრეებს უნდა ჩამოერთვას. ადგილ-მიცემობაში შუამავალი გაუქმებული იქმნება. დაწესდება სავალდებულო აღზრდა, სიყვარულის, თანასწორობის და ძმობის ნიადაგზე დამყარებული. თანამედროვე ოჯახი, სადაც ქალი დამონაკვებულია, უნდა გადაკეთდეს... უნდა განვითარდეს ოლქებრივი (კომუნალური) თვითმმართველობა და თან და თან შესუსტდეს და გაუქმდეს ცენტრალური სახელმწიფო მმართველობის ფუნქციები ».

პარიზის კომუნის დეკლარაცია 1871 წ. (1)

საფრანგეთის ხალხისადმი

„ რას ითხოვს პარიზი ?

„ მთელ ქვეყანაში კომუნებს დაუყოვნებლივ უნდა მიენიჭოს სრული ავტონომია. თითოეულ კომუნას ექნება მინიჭებული სრული უფლებანი. პარიზის კომუნა ითხოვს,

(1) Парижская Коммуна. Изд. « Работникъ » 1874. Женева.

რომ მას და საფრანგეთის თითოეულ კომუნას ჰქონდეს უფლება თავისუფლად, ფედერატულად დაკავშიროს დანარჩენ კომუნებს. ამ თავისუფალ დაკავშირებით დასულ იქმნება ფრანგ ხალხის ერთობა, მთლიანობა. რაც შეეხება საფრანგეთის ცენტრალურ მმართველობის ორგანოს, კომუნას ხურს, რომ იგი შექმნილ იქმნას ფედერატულად დაკავშირებულ კომუნათა თავისუფალ წარმომადგენლებისაგან... ”

(1) კომუნა — სოფლის საზოგადოება და ქალაქის თვითმმართველობა (მუნიციპალიტეტი).

წინასიტყვაობა

« ინტერნაციონალის » სტატუტისა (1)

(დამტკიცებდა 1866 წ. ჟენევის კონგრესზე ინტერნაციონალურ მუშათა ახორციელების მიერ)

მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა ხალხის საქმეა და მათზეა დამოკიდებული. განთავისუფლების ხანაში მუშებმა არ უნდა დაიპყრონ ახალი პრივილეგიები, არამედ ყველსათვის ერთნაირი უფლებანი და მოვალეობანი უნდა დაამყარონ.

პოლიტიკურ, მორალურ და ეკონომიურ დამონების მიზეზი არის დამონება მუშისა კაპიტალის მიერ. ამიტომ პოლიტიკური მოძრაობა მშრომელთა ეკონომიურ განთავისუფლების საქმეს უნდა დაექვემდებაროს (2).

წარსულ რევოლუციების დამარცხება ამითი აიხსნება, რომ არც განსაზღვრულ ქვეყნის სხვა და სხვა პრივილეგიის მუშათა შორის არსებობდა სოლიდარობა, არც სხვა და სხვა ქვეყნის მუშათა შორის მძობა იყო განმტკიცებული.

მუშების განთავისუფლების კითხვა ადვილობრივი და ერთგული პირობებია არ არის. იგი პირობებია ყოველ განათლებულ ქვეყნებს აინტერესებს. და მისი გადაწყვეტა პრაქტიკული და თეორიული საზოგადო დამმარტებსა მოითხოვს.

ეკონომიკის სამრეწველო ცენტრებში ადრეული მოძრაობა უზადავს მუშებს ახალ ნუგეშს და ამასთანავე ადრთხილებს მათ ძველ შეცდომების გამეორების წინააღმდეგ და იწვევს განცალკევებულ ძალების გაერთიანებისადმი.

(1) L'Internationale, par Oscar Testut, p. 97.
 (2) ეს მუხლი შეტანილი იყო ტოლენის მიერ (პრუდიის მიმდევარი). მარქსი წინააღმდეგ აქ გატარებულ აზრს რეგ.

ბიროკრატული ქრონიკა

- 22 მარტს 1901. — დაეცნენ სინოდის პრეკურორს, პომედიდონოსცეგს, სოლო ვერ მოჰკლეს.
- 30 მარტს 1901. — კარპოვიჩმა მოჰკლა ბოგოლეპოვი, სახალხო განათლების მინისტრი.
- 15 აპრილს 1902. — ბალმაშევა მოჰკლა სიპიაგინი, შინაგან საქმეთა მინისტრი.
- 19 მაისს 1902, — დასტრეს ფინ-ვალი, ვილნოს დენ-გუბ.
- 11 აგვისტოს 1902. — გლეხმა კაჩურმა რევოლუციონერს ესრულა თ. ობოლენსკის, სოცოვის გუბერნატ., სოლო ადვინა.
- 27 ოქტომბერს 1903. — კავკასიის მთავარმართებლის თ. გოლიცინის დატრა სამ სომხის მიერ.
- 2 იანვარს 1904. — ორ ფინლანდიელ სტუდენტს ქ. ნიკოლაისგანის (ფინლანდიაში) პოლიციის უფროსის მოკვლა უნდოდიათ, სოლო ვერ მოასხრეს.
- 22 იანვარს 1904. — დაეცნენ ბარონ ვორფს, სონიუს გუბერნატორს, სოლო ვერ მოჰკლეს.
- 16 ივნისს 1904. — ფინლანდიის დენერალ-გუბერნატორის ბონიკოვის მოკვლა შაუმანის მიერ.
- 17 ივლისს 1904. — ელიზავიტაპოლის ვიგე-გუბერნატორის ანდრეევის მოკვლა.
- 28 ივლისს 1904. — შინაგან საქმეთა მინისტრის ფინ-პლეგის მოკვლა საზონოვის მიერ.
- 17 თებერვალს 1905. — დიდ მთავრის ხერგვის მოკვლა მოკვლა.

გაზ. „ საქართველოს » სტამბა. 51, rue Saint-Sauveur, Paris.